ოქმი:ო31. 3124109001
თარიღი:18/04/2024

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №4

ქ. ლანჩხუთი

15. 04. 2024 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თედორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე ლოლიტა ურუშაძე (საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მომართვის საფუძველზე), საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ეკა გუჯაბიძე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის

და ტურიზმის განყოფილების უფროსი ია ჩხაიძე, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა რამდენიმე საკითხი და მიმართა ბიუროს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის თებერვლის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მარტის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. „გრანტის მიღებაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ია ჩხაიძე/

5. ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა

გაერთიანებისათვის“ (ს/კ 233731478) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

7. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 თებერვალი N5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

8. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2024 წლის 26 აპრილი 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილება განპირობებულია საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში შეტანილი ცვლილებით, რის საფუძველზეც გაიწერა მოთხოვნა, რომ მშენებლობის შეჩერების შესახებ მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას აღნიშნული მშენებლობის შეუჩერებლობის შემთხვევაში შესაძლო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N11 დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებული მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების ფორმა შესაბამისად საჭიროებს ზემოაღნიშნული ცვლილების ასახვას. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას

და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას. 2.დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის თებერვლის თვის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2024 წლის თებერვლის თვეში საბიუჯეტო შემოსულობებმა შეადგინა 1537015.85 ათ. ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 17.0 %. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 194555.71 ათ. ლარი; შემოსავლები კაპიტალურის ჩათვლით მიღებულია 1342460.14ათ. ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 15.8 %. მათ შორის დამატებითი ღირებულების სახით მიღებულია 966459.81 ათ. ლარი, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე მიღებულია 6452.7 ათ. ლარი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 314439.336 ათ. ლარი, მათ შორის - ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 7675.83 ათ. ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 257799.576 ათ. ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 15.8%.

2024 წლის თებერვლის თვეში გაწეული იქნა 4208711 ლარის ხარჯი. მათ შორის - შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 1246859 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა

ანაზღაურება - 502226 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა ლარი; სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 1348590.2 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 1300562 ლარი. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსავლების დინამიკა მიმდინარეობს ნორმალურად და ყველა ვალდებულება შესრულებულია.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის თებერვლის თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის თებერვლის თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მარტის თვის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2024 წლის მარტის თვეში საბიუჯეტო შემოსულობებმა შეადგინა 2051146.46 ათ. ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 840918.14 ათ. ლარი; შემოსავლები კაპიტალურის ჩათვლით მიღებულია 1210228.32 ათ. ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 22.3 %. მათ შორის დამატებითი ღირებულების სახით მიღებულია 910392.03 ათ. ლარი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 297479.47 ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 25,2%. მათ შორის - ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 1180.65 ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 280457.63 ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 23,9%.

2024 წლის მარტის თვეში გაწეული იქნა 6785607 ლარის ხარჯი. მათ შორის - შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 1855529 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 769675 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 2203415.9 ლარი; სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 245630 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 2180705 ლარი. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსავლების დინამიკა მიმდინარეობს ნორმალურად და ყველა ვალდებულება შესრულებულია.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მარტის თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მარტის თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „გრანტის მიღებაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განყოფილების უფროსმა **ია ჩხაიძემ.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურის ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2024 წლის 05 აპრილის N 04-302409674 მოხსენებითი ბარათის თანახმად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ საგრანტო კონკურსში ,,შემოქმედებითი კომპასი საქართველო“, რომელიც ხორციელდება

გოეთეს ინსტიტუტის თანადაფინანსებით. საგრანტო კონკურსის თემა ეხება, ინფრასტრუქტურის აღნუსხვას მუნიციპალიტეტში, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარდგენილი საკონკურსო საგრანტო განაცხადი, დადებითად შეფასდა - ,,შემოქმედებითი კომპასი საქართველოს“ გუნდის მიერ და შერჩეული არის დაფინანსებისათვის. გოეთეს ინსტიტუტსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას შორის, საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად განსაზღვრულია ვადა, მიმდინარე წლის 18 აპრილამდე. ვინაიდან, გრანტთან დაკავშირებით ხელშეკრულების გაფორმება უნდა განხორციელდეს შემჭიდროებულ ვადაში, მიზანშეწონილია, საკრებულომ საკითხის განხილვის მიზნით მიიღოს გადაწყვეტილება რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე.

მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განყოფილების უფროსმა აღნიშნა, რომ ქვეყნის მასშტაბით 62 მუნიციპალიტეტიდან შეირჩა 35 მუნიციპალიტეტი. კონკურსის ფარგლებში პირველი ეტაპი ეხება ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვას და ამ კუთხით დაფინანსება შეადგენს 5000 ევროს, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მიტოვებული და უფუნქციო შენობა-ნაგებობის აღრიცხვას და ონლაინ რუკის შედგენას. ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა, ეს ობიექტი მუნიციპალური საკუთრება იქნება თუ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში. ასევე, გათვალისწინებული იქნება კერძო საკუთრებაში არსებული ისეთი ობიექტები, სადაც შესაძლებელია მოეწყოს კულტურული ინდუსტრია. მეორე ეტაპზე შეირჩევა 18 მუნიციპალიტეტი და დაფინანსება შეადგენს 8000 ევროს, რომლის ფარგლებშიც უკვე აღრიცხულ ობიექტებთან მიმართებაში უნდა გაითვალოს, თუ სად რა შეიძლება გაკეთდეს. საბოლოოდ კი შეირჩევა ერთი ლოკაცია და მოხდება იმის დასაბუთება, თუ რა საჭიროებას წარმოადგენს კონკრეტულ ობიექტზე გარკვეული კულტურული ინდუსტრიის მოწყობა. მესამე ეტაპი მოიცავს 8 მუნიციპალიტეტს და დაფინანსება შეადგენს 1250000 ევროს, რაც გულისხმობს დასაბუთებული იდეის დაპროექტებას და განხორციელებას.

მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განყოფილების უფროსმა იმედი გამოთქვა, რომ გუნდი, რომელშიც მერიის შესაბამისი სამსახურებთან ერთად ასევე ჩართულები არიან გოეთეს ინსტიტუტის წარმომადგენლები, წარმატებით გაივლის კონკურსს და ყველა გეგმას თუ ვალდებულებას ჯეროვნად გაართმევს თავს. გარდა ამისა, არის მითითება, რომ პირველ ეტაპზე მონაწილეობას მიიღებენ მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურები, ხოლო საბოლოო ეტაპზე შესაძლებლობა ექნებათ ჩაერთონ ა(ა)იპ-ები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, **გიორგი ჩახვაძის** განცხადებით, თავის დროზე მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განყოფილების უფროსი **ია ჩხაიძე** აქტიურად იყო ჩართული ედუარდ შევარდნაძის სახლ-მუზეუმის თემასთან დაკავშირებით და კარგი იქნება, თუ ეს იდეა იქნება გათვალისწინებული, რასაც დაეთანხმა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ემზარ თევდორაძე,** რომელმაც აღნიშნა, რომ ტურისტული თვალსაზრისით, ეს მუნიციპალიტეტისთვისაც ძალიან მომგებიანი იქნება , რადგან გაიზრდება ვიზიტორების რაოდენობა.

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა **ეკა გუჯაბიძემ** აღნიშნა, რომ თავის დროზე იყო საკითხის შესახებ საუბარი, მაგრამ ოჯახის წევრების მხრიდან ადგილი ჰქონდა გარკვეულ წინააღმდეგობას, რადგან მუზეუმის მოწყობის შემთხვევაში მათ უარი უნდა ეთქვათ და დაეთმოთ ეს ქონება.

მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განყოფილების უფროსმა აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით აქვთ ოფიციალურად დამოწმებული ნუგზარ შევარდნაძის წერილობითი თანხმობა, რის მიხედვითაც მუნიციპალიტეტს მუზეუმისთვის გადასცემდა აღნიშნულ ქონებას.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

„გრანტის მიღებაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მუნიციპალიტეტის მერის მომართვის შესაბამისად და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე განხილული იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია, მშენებლობის ნებართვის გაცემის დროს ხელმძღვანელობს ,, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ მე-XII თავისა და ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად. დადგენილებაში გაწერილია მშენებლობის ის სახეები, რომელზეც მუნიციპალიტეტი გასცემს მშენებლობის ნებართვას, ხოლო კანონში იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც მშენებლობის ნებართვის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს მშენებლობის ნებართვის მისაღებად. კანონში გაწერილი ზემოაღნიშნული ჩამონათვალიდან, ერთ-ერთ საბუთს წარმოადგენს - სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის ოდენობის განსაზღვრის მიზნით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებით დამტკიცებული აქვს წესი - ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ”. აღნიშნულ წესში არ არის გაწერილი მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი დემონტაჟის სამშენებლო სამუშაოების გასაცემად. რის გამოც წესი საჭიროებს შესაბამისი ცვლილების ასახვას.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **კახაბერ ასკურავა** დაინტერესდა, მუნიციპალიტეტში მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობის შემთხვევაში თუ იმოქმედებს რაიმე სახის კონკრეტული რეგულაცია, რაზეც მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ასეთ სიტუაციაში ხდება K1, K2 და K3 კოეფიციენტების გამოყენება. გაანგარიშება ხდება სპეციალური ფორმულის მიხედვით, სადაც K1 არის განაშენიანების, K2- ინტენსივობის და K3 –გამწვანების კოეფიციენტი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული

ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომსხენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ (ს/კ 233731478) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, 2024 წლის 10 აპრილის N31 წერილით (კანცელარიის N10/30241019-30 10.04.2024 წ.) მომართა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ (ს/კ 233731478) დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ანა ჩხაიძემ, რომელმაც უზუფრუქტის ფორმით მოითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადაცემა, კერძოდ ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქ. N60-ში მდებარე 441,10 კვ.მ. ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.51.020.01.511) და ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.11.44.002) მეორე სართულზე არსებული სამი ოთახი - 154,356 კვ.მ. ფართი; 31,610 კვ.მ. ფართი და 45,240 კვ.მ.ფართი. მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა , რომ ზემოაღნიშნული უძრავი ქონება ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას“ (ს/კ 233731478) გადაეცეს სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ (ს/კ 233731478) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ფრაქცია

„ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი, ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 თებერვალი N5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მისი განმარტებით, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი დუგლაძის, 2024 წლის 31 იანვრის N5/5046 მომართვის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფოსთვის გადაცემული ქონება - (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე ელექროგადამცემი ხაზი - 7700 მ. ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი (საყრდენი ბოძი) 156 ცალი (ს/კ 27.00.353)) რეალურ მონაცემზე ფაქტობრივად იყო ნაკლები, რამაც განაპირობა აღნიშნული განკარგულების ცვლილების პროექტის მომზადება.

სახელმწიფოს მიერ მოთხოვნილი ქონება, რეგისტრირებული მონაცემებით არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე, ელექროგადამცემი ხაზი - 7700 მ. ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი (საყრდენი ბოძი) 156 ცალი (ს/კ 27.00.353), ხოლო სამსახურის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო აზომვითი/აგეგმვითი ნახაზის მიხედვით, ასევე არის არსებული აღნიშნული ხაზოვანი ობიექტის შემადგენელი ნაწილი 1259 მ. ელექტრო გადამცემი ხაზი და 28 ცალი საყრდენი ბოძი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 თებერვლის N5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი, ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები არ განხილულა.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი